შ.პ.ს „დაიმონდ კონსტრაქშენ“ სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების ჯგუფი
lTD "Diamond Constructions" construction and Group of design works

თბილისი, მის: ქუთათელის ქ. №31/2 Tbilisi, Address: Kutateli str. № 31/2

tel: (+995591601530) E-mail: ltd.diamond2016@gmail.com

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი N1, შენობა-ნაგებობა: N1, N2 და N3, (საკ.კოდით: 01.17.14.001.424), არსებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტით IV კლასის სამშენებლო სამუშაოების (მრავალფუნქსიური დანიშნულების შენობა-ნაგებობა) კორექტირებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი.

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

ვამტკიცებ შ.პ.ს. „დაიმონდ კონსტრაქშენი’’-ს

დირექტორი _____ ლ. ალავერდაშვილი

„––26––” „––––08––––” 2023წ

LTD diamond construction

ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი N1, შენობა-ნაგებობა: N1, N2 და N3, (საკ.კოდით: 01.17.14.001.424), არსებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტით IV კლასის სამშენებლო სამუშაოების (მრავალფუნქსიური დანიშნულების შენობა-ნაგებობა)კორექტირებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი.

ქ. თბილისი

2023 წელი

შპს დაიმონდ კონსტრაქშენი

Diamond Construction LTD 404541297

შინაარსი

I განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი
2. სამშენებლო პირობების დახასიათება
3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები
4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია
5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
6. მშენებლობის გამხორციელების რიგითობა და ეტაპები
7. ხანგრძლივობის დადგენა
8. უსაფრთხოების ტექნიკა
9. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი.

III გამოყენებული ლიტერატურა

IV მშენებლობის წარმოების გრაფიკი

V ტოპოგებმაზე დატანილი დეტალები



I განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი

ა) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

– დავალება პროექტირებაზე;

– პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები;

– რაიონის სიტუაციური გეგმა;

- გეოდეზიური გეგმები და პროფილები;

- გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;

გ) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტის ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

2. მშენებლობის პირობების დახასიათება

საპროექტო ობიექტის გამიზნული ტერიტორია მდებარეობს, ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი N1, საპროექტო შენობა-ნაგებობა N1, N2 და N3, საკ.კოდით: 01.17.14.001.424

არსებულ მოედანზე ხორციელდება ორი მრავალფუნქციური 33 და 8 სართულიანი (პირობითი აღნიშვნით №1 და №2 შენობები) ასევე ერთი 1 სართულიანი ავტოსადგომის (პირობითი აღნიშვნით №3) დანიშნულების მძონე შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

შენობა № 1: მრავალფუნქციური დანიშნულების 27 სართულიანი (რომელსაც გააჩნია სარდაფისათვის განკუთვნილი სართული) შენობა-ნაგებობა, გეომეტრიული თვალსაზრისით რთული კონფიგურაციის მრავალკუთხა ფორმის, შენობა დასრულების შემდგომ მაქსიმალური სიმაღლე ექნება +0.00 ნიშნულიდან გადახურვის კეხის ჩათვლისვ +89.20 მეტრი, ხოლო მაქსიმალური ზომები ღერძებში 15.94X42.45მეტრი.

შენობა № 2: მრავალფუნქციური დანიშნულების 8 სართულიანი (რომელსაც არ გააჩნია სარდაფისათვის განკუთვნილი სართული) შენობა-ნაგებობა, გეომეტრიული თვალსაზრისით რთული კონფიგურაციის მრავალკუთხა ფორმის, შენობა დასრულების შემდგომ მაქსიმალური სიმაღლე ექნება +0.00 ნიშნულიდან გადახურვის კეხის ჩათვლისვ +28.80 მეტრი, ხოლო მაქსიმალური ზომები ღერძებში 17.02X24.45 მეტრი.

შენობა № 3: საპარკინგე შენობა-ნაგებობა, გეომეტრიული თვალსაზრისით რთული კონფიგურაციის მრავალკუთხა ფორმის, შენობა დასრულების შემდგომ მაქსიმალური სიმაღლე ექნება -3.00 გადახურვის ფილის ჩათვლისვ +0.00 მეტრი, ხოლო მაქსიმალური ზომები ღერძებში 16.60X27.20მეტრი.

შპს დიამონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD
404541297

საპროექტო შენობის (შენობა №1) მზიდი ელემენტები განხორციელებულია შემდეგი კონსტრუქციებისგან:

საძრიკვლები: - როგორც წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტიდან ირკვევა შენობებს გააჩნია 150 სმ. დიამეტრის მძრნე ხიმინჯები, რომლის თავზეც ეწყობა მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის საძირკველი, სისქით **H**-150სმ (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

რიგელები და სვეტები: - შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს რკინა-ბეტონის მონოლითური რიგელებისა და სვეტებისგან (პილონები) შეკრული სივრცითი კარკასი, სვეტები კვეთით: 70X120სმ., 60X110სმ.,50X90სმ., 40X80სმ.,40X40სმ. და 30X30სმ.,ხოლო რიგელები 50X50სმ., 50X40სმ., 40X65სმ., და 50X25სმ. არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი.

გადახურვის ფილები - იატაკის ფილები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ორმაგი არმირებული ბადით ნაძსოვი 22სმ. და 20 სმ. სისქის მონოლითური რკინა-ბეტონის ფილების მეშვეობით (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

მზიდი კედლები - შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ორმაგი არმირებული ბადით ნაძსოვი სისქით 30სმ., 40სმ., და 55სმ., მონოლითური რკინა-ბეტონის კედლები, დიაფრაგმები. (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

კარკასისი შემავსებელი: - სამშენებლო ბლოკის წყობით ნაშენი არამზიდი კედლები, ცემენტის ხსნარზე.

სართულების დაკავშირება : სართულებს შორის კავშირი ხორციელდება მონოლითური რკინა-ბეტონის კიბის მეშვეობით. (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

შენობის გადახურვა: შენობებს გააჩნია ბრტყელი მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის გადახურვა. (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

უზრუნველყოფა: დროებითი ელ.ენერგიის და საინჟინრო კომუნიკაციები სამშენებლო მოედანზე შექმნილია.

საპროექტო შენობის (შენობა №2) მზიდი ელემენტები განხორციელებულია შემდეგი კონსტრუქციებისგან:

საძრიკვლები: - როგორც წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტიდან ირკვევა შენობებს გააჩნია 90 სმ. დიამეტრის მძრნე ხიმინჯები, რომლის თავზეც ეწყობა მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის საძირკველი, სისქით **H**-85სმ (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

რიგელები და სვეტები: - შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს რკინა-ბეტონის მონოლითური რიგელებისა და სვეტებისგან შეკრული სივრცითი კარკასი, სვეტები კვეთით: 60X60სმ., 50X50სმ. და 40X40სმ.,ხოლო რიგელები 50X40სმ., 50X25სმ. და 50X20სმ. არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი.

გადახურვის ფილები - იატაკის ფილები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ორმაგი არმირებული ბადით ნაძსოვი 20სმ. და 18 სმ. სისქის მონოლითური რკინა-ბეტონის ფილების მეშვეობით (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

მზიდი კედლები - შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ორმაგი არმირებული ბადით ნაძსოვი სისქით 25სმ. მონოლითური რკინა-ბეტონის კედლები, დიაფრაგმები. (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

კარკასისი შემავსებელი: - სამშენებლო ბლოკის წყობით ნაშენი არამზიდი კედლები, ცემენტის ხსნარზე.



სართულების დაკავშირება : სართულებს შორის კავშირი ხორციელდება მონოლითური რკინა-ბეტონის კიბის მეშვეობით. (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

შენობის გადახურვა: შენობებს გააჩნია ბრტყელი მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის გადახურვა. (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

უზრუნველყოფა: დროებითი ელ.ენერგიის და საინჟინრო კომუნიკაციები სამშენებლო მოედანზე შეყვანილია.

საპროექტო შენობის (შენობა №3) მზიდი ელემენტები განხორციელებულია შემდები კონსტრუქციებისგან:

საძირკვლები: მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის საძირკველი, სისქით **H**-50სმ (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

რიგელები და სვეტები: - შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს რკინა-ბეტონის მონოლითური რიგელებისა და სვეტებისგან შეკრული სივრცითი კარკასი, სვეტები კვეთით: 40X40სმ.,ხოლო რიგელები 50X40სმ.,არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი.

გადახურვის ფილები - იატაკის ფილები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ორმაგი არმირებული ბადით ნაძსოვი 20სმ. სისქის მონოლითური რკინა-ბეტონის ფილების მეშვეობით (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

მზიდი კედლები - შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ორმაგი არმირებული ბადით ნაძსოვი სისქით 20სმ. მონოლითური რკინა-ბეტონის კედლები, დიაფრაგმები. (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

კარკასისი შემავსებელი: - სამშენებლო ბლოკის წყობით ნაშენი არამზიდი კედლები, ცემენტის ხსნარზე.

შენობის გადახურვა: შენობებს გააჩნია ბრტყელი მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის გადახურვა. (არმატურა A500C კლასისი. B-25 ბეტონი).

უზრუნველყოფა: დროებითი ელ.ენერგიის და საინჟინრო კომუნიკაციები სამშენებლო მოედანზე შეყვანილია.

4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

ა) სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია- გულისხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისით სნ და წ 3.01.01 – 85 №1 და №2 დებულებების მიხედვით. ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება

ბ) სამუშაოების დაწყების წინ სპეციალისტების მიერ სრულდება ტოპო– გეოდეზიური სამუშაოები შენობის მიბმითა და ღერძების დაკვალვით.

გ) სამშენებლო – სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აუცილებელია უსაფრთხოების და ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვა. ამ მიზნით მუშა მოსამსახურეებზე უნდა ჩატარდეს ინსტრუქტაჟი გამოცდების ჩატარებით.

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

მოცემული სამშენებლო სამუშაოები იყოფა ორ რიგად – მოსამზადებელი სამუშაოები და ძირითადი სამშენებლო სამუშაობი;

მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება - სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით:

1. ტერიტორიაზე შესასვლელში შესაბამისი გამართხილებელი ბანერების გაკვრა; სამუშაოთა მწარმოებლის დროებითი ღობის და ჭიხურის მონტაჟი, სამშენებლო მასალის დასაწყობება, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით;

2. დროებითი წყლის გადამყვანების და კანალიზაციის მოწყობა, დროებითი ელ. მომარაგების მოწყობა.

3. საპროექტო შენობის გეოდეზიური დაკვალვა.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს შემდგომ მუშა-პროცესს. კერძოდ:

1. მიწის სამუშაოების დაწყება.

2. რკ/ბეტონის სამუშაოები – საპროექტო შენობის ფუძე-საძირკვლების და ძირითადი კარკასის მოწყობა;

3. არამზიდი კონსტრუქციების აშენება, საინჟინრო კომუნიკაციების მონტაჟი;

4. სახურავის მოწყობა, შენობის კედლების შევსება-შეფუთვა შიდა და გარე სარემონტო სამუშაოები.

5. ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამშენებლო ნარჩენების გატანა;

შენიშვნა: – ყველა ფარული სამუშაოების დასრულება მოხდეს შესაბამისი აქტის შედგენით, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფარული სამუშაოების ფოტოფიქსაცია. აქტებზე ხელმომწერი მხარეები – დამკვეთი, მენარდე, ობიექტზე დამოუკიდებელი ზედამხედველი სუბიექტი;

ა) მოცემულ მშენებლობაზე ფარული სამუშაოების აქტები შედგეს შემდეგ ფარულ სამუშოებზე – მიწის სამუშაოების დასრულებისას, საძირკვლის კონსტრუქციების არმირებაზე მათ დაბეტონებამდე, საძირკვლის ჰიდროიზოლაციაზე, სვეტების, სართულშუა გადახურვის ფილებისა და რიგელების, მათი კვანძების, კონსტრუქციების არმირების დასრულებაზე მათ დაბეტონებამდე; აქტები იკინძება და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

ბ) სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამშენებლო მოედნის აღჭურვა ცხრილში ჩამოთვლილი (II თავი) მანქანა – მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

გ) სამონტაჟო სამუშაოების პროცესში და საინჟინრო ქსელების გაყვანისას სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს შენობისა და ნაგებობის გეომეტრიული პარამეტრების გეოდეზიური კონტროლი.

დ) მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ტიპიური ფორმების მიხედვით შედგეს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც აისახება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი ქმედება; ასევე ტექნიკური შესაშრთხოების და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალები.



6. მშენებლობის განხორციელების რიგითობა და ეტაპები

დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების პროცესის წარმოების რიგითობის მიხედვით ობიექტზე განისაზღვრა შემდეგი სამშენებლო ეტაპები:

II რიგის სამუშაოები/შენობა-ნაგებობა პირობითი ნუმერაციით #2: ძირითადი სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოიყო სამი ეტაპი, რომლებშიც გაერთიანდა ერთი სახის სამუშაოები:

1) შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 6 თვე).
2) შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა.შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე).
3) მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 2 თვე).

სულ დადგინდა 3 ერთეული ეტაპი (პირობითი აღნიშვნით შენობა-ნაგებობა #2).

II რიგის სამუშაოები/შენობა-ნაგებობა პირობითი ნუმერაციით #1: ძირითადი სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოიყო თექვსმეტი ეტაპი, რომლებშიც გაერთიანდა ერთი სახის სამუშაოები:

1) შენობა-ნაგებობის მიწის პირი ნიშნულიდა პირველი სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის მეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 2 თვე).
2) შენობა-ნაგებობის მესამე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის მეოთხე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 2 თვე).
3) შენობა-ნაგებობის მეხუთე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა, შენობა-ნაგებობის მეექვსე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 3 თვე).
4) შენობა-ნაგებობის მეშვიდე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა, შენობა-ნაგებობის მერვე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction
404541297

კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 3 თვე).

5) შენობა-ნაგებობის მეცხრე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის მეათე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე).

6) შენობა-ნაგებობის მეთერთმეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის მეთორმეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე).

7) შენობა-ნაგებობის მეცამეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის მეთოთხმეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე).

8) შენობა-ნაგებობის მეთხუტმეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის მეთექვსმეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე).

9) შენობა-ნაგებობის მეჩვიდმეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის მეთვრამეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე).

10) შენობა-ნაგებობის მეცხრამეტე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის მეოცე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე).

11) შენობა-ნაგებობის ოცდამეერთე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის ოცდამეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე).

12) შენობა-ნაგებობის ოცდამესამე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის ოცდამეოთხე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა . (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე).

13) შენობა-ნაგებობის ოცდამეხუთე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობა-ნაგებობის ოცდამეექვსე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD
404541287

(არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა .(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 3 თვე).

14) შენობა-ნაგებობის ოცდამეშვიდე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 2 თვე).

15) შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა.შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები. მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 18 თვე).

სულ დადგინდა 15 ერთეული ეტაპი (პირობითი აღნიშვნით შენობა-ნაგებობა #1)

I რიგის სამუშაოები/ შენობა-ნაგებობა პირობითი ნუმერაციით #3:

1. მოსამზადებელი სამშშაოები, (სამშენებლო მოედნის მოწესრიგება/შემოღობვა).

2. შენობა-ნაბებობის ბრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

3. შეცვლილი ზედაპირის შემდგომ შენობა- ნაბებობის ბრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

(სამივე ეტაპის სამშენებლო ვადად განისაზღვრა 2 თვე).

II რიგის სამუშაოები/ შენობა-ნაგებობა პირობითი ნუმერაციით #3: ძირითადი სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოიყო სამი ეტაპი, რომლებშიც გაერთიანდა ერთი სახის სამუშაოები:

1) შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები , შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის მიწის პირის ნიშნულამდე. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე).

2) შენობა-ნაგებობის მიწის პირი ნიშნულიდა პირველი სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 3 თვე).

3) შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა.შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები. არსებული ნაგებობის დემონტაჟი მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 3 თვე).

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

სულ დადგინდა 6 ერთეული ეტაპი (პირობითი აღნიშვნით შენობა-ნაგებობა #3)

შენიშვნა : სამშენებლო ეტაპებიის დასახელებები გადმოტანილი იქნა №255 დადგენილების 20 მუხლში მითითებული დასახელებების იდენტურად.

სამშენებლო ეტაპები შედგენილია დარჩენილი სამუშაოების მიხედვით

7. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობისა და სამუშაოების წარმართვის თავლსაზრისით ობიექტის არსებული, არქიტექტურულ – მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით რთული კატეგორიისაა.

მშენებელობის ხანგრძლივობას ვადგენთ **T**=48 თვეს

8. უსაფრთხოების ტექნიკა

ა) უცხო პირთა, აგრეთვე სამშენბლო ოპერაციებში დაუსაძმებელი მუშა მომსახურეთა ყოფნა სამშეებლო მოედანზე დაუშვებელია.

ბ) მუშა – მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.

გ) სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა – მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით.

დ) მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III – 4 – 80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ – საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურიბის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.
2. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოზე წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

3. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

4. ელექტრო შსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

5. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილზე გადატანა მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

შენიშვნა: შსაფრთხოების მიზნით უნდა მოეწყოს შსაფრთხოების ბადეები მუშა-მოსამსახურეთა შსაფრთხოების მიზნით.

9. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

ა) მშენებლობის სამუშაოების დაწყება დაიშვება ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვით და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

ბ) გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

გ) დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და სხვა ძიმიური ხსნარების მილსადენებში ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

დ) საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს ჩამოეფაროს ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

ე) მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხვდეს მტვრის გაბნევა და სელიტებულ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ნაგავ გამტარებით. ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტო თვითმცლელი მანქანების ძარებში.

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

№	დასახელება	მარკა	რაოდ.ცალი
1	თვითმცლელი სამშენებლო ნაგვის გასატანად		10
2	ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სხვადასხვა სამშ. ტვირთის შემოსატანად		15
3	ზედაპირული ვიბრატორი (სამოედნო)	ს-697	8
4	ელ. შესადუღებელი აპარატი	კომპ.	8
5	ანევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი, და სხვა		
6	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები; ნიჩბები, ბარები, წერაქვები და სხვა		
მითითებები: რეკომენდირებული მანქანა–დანადგარები, კერძოდ ამწე მექანიზმის მონტაჟის ადგილზე საჭიროებს (შენობის მოცულობიდან გამომდინარე)			

შემსრულებელი: ლ. ალავერდაშვილი

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

III გამოყენებული ლიტერატურე

СН И П III -4-80	Техника безопасности в строительстве
СН И П 3-02-01-87	Земляные сооружения
СН И П 1-04-03-85	Нормы проолжительности строительства и задела в строительстве предприатий зданий и сооружений
СН И П 3-01-01-85	Организация строительного производства
СН И П РН-73	Расчетные нормативы



ბრძანებისა და განკარგულების პროექტების მომზადების ელექტრონული სისტემის დანერგვის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოების მოხელეთა გადამზადების ორგანიზების შესახებ

| № | სახელწოდება | ხანგრძლივობა | 48 თვე | | |

მშენებლობის ორგანიზების პროექტის გენ-გეგმა



შენიშვნა: მშენებლობის დროს აუცილებელია უსაფრთხოების ბადეების მოწყობა მშენებარე შენობის მთელს პერიმეტრზე

შემსრულებელი : ლ.ალავერდაშვილი

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

ალი N1 აბსოლიტური ნიშნული ±0.00(385.50)

3. ავტოსადგომის შენობა აბსოლიტური ნიშნული ±0.00(385.50)

ხლი 2 აბსოლიტური ნიშნული ±0.00(385.50)